სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

26 თებერვალი, 2026 წ.

ბრძანება № 01-02/39

2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „ERASMUS+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პოლონეთში, ბიდგოშჩის უნივერსიტეტში (WSG) საერთაშორისო კვირეულში მონაწილე ბსუ-ს აკადემიური პერსონალის გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო მობილობის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილების, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2026 წლის 25 თებერვლის MES 9 26 0000222929 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025–2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, „ERASMUS+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პოლონეთში, ბიდგოშჩის უნივერსიტეტში (WSG) 2026 წლის 18–22 მაისს გასამართ საერთაშორისო კვირეულზე (თემა: „ურბანისტიკა ყველასთვის: უსაფრთხო, ხელმისაწვდომი და ინკლუზიური სივრცეები ინტერდისციპლინური პერსპექტივიდან") მონაწილეობის მისაღებად ბსუ-ს აკადემიური პერსონალის გამოსავლენად **გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები:**

1.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილებით განსაზღვრული) მიღება ბსუ-ს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (კანცელარიის) eflow მეშვეობით - **2026 წლის 26 თებერვლიდან - 4 მარტის ჩათვლით, 15:00 საათამდე;**

1.2. საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - **2026 წლის 5 მარტი - 10:00 საათი** (შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტმა);

1.3. გასაუბრება კომისიასთან - **2026 წლის 5 მარტი, 11:00 საათიდან;**

1.4. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული **კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება** მიმღები უნივერსიტეტისათვის - **არაუგვიანეს 2026 წლის 5 მარტისა.**

1.5. ნომინირებული პერსონალი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია ონლაინ ფორმატში - **არაუგვიანეს 2026 წლის 6 მარტისა.**

2. დამტკიცდეს **კომისიის შემადგენლობა:**

ა) ტიტე არაშიძე - თავმჯდომარე, რექტორი;
ბ) გიორგი ქათამაძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით;
გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;
დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ე) ნარგიზ ფალავანდიშვილი - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი;
ვ) ლელა თურმანიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;
ზ) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;
თ) გაიოზ ფარცხალაძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;
ი) თეონა ბერიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
კ) რუსუდან ხუხუნაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;
კ) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
ლ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - კომისიის <u>მდივანი.</u>
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**